წინასიტყვაობა*

ძვირფასო მკითხველო,

მოხარულები ვართ, გაცნობოთ, რომ ქართულ-გერმანული სისხლის სამართლის ჟურნალის („DGStZ“) გამოცემა 2017 წელსაც გრძელდება!

2017 წელი საქართველო-გერმანიის ურთიერთობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი წელია, ვინაიდან საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებულია საქართველო-გერმანიის მეგობრობის წლად. აქედან გამომდინარე, ჩვენ – გამომცემლებმა – გადავწყვიტეთ, რომ ჟურნალის 2017 წლის ყველა გამოცემა სიმბოლურად მიეძღვნას საქართველო-გერმანიის მეგობრობის წელს.

წარმოგიდგენთ 2017 წლის პირველ ელექტრონულ გამოცემას, რომლის წაკითხვა და ჩამოტვირთვა ქართულ და გერმანულ ენებზე შეგიძლიათ კვლავ უფასოდ, ჩვენი ჟურნალის ელექტორნული გვერდის – www.dgstz.de – მეშვეობით.

რაც შეეხება გამოცემის შინაარსს, მასში მოცემულია ქართველი და გერმანელი პროფესორების საინტერესო სტატიები სისხლის სამართლის ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხზე.

ჟურნალი სთავაზობს ქართულ და გერმანულენოვან მკითხველს მარტინ პაულ ვასმერის ძალზედ საინტერესო სტატიას, რომელიც ეხება ზოგადად ეკონომიკური სისხლის სამართლის ევროპეიზაციის საკითხს. ავტორი დეტალურად აღწერს ეკონომიკური სისხლის სამართლის ევროპეიზაციას, რომელსაც ევროკავშირის სისხლის სამართლის წარმოშობასთან მჭიდრო კავშირში განიხილავს. ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული სისხლის სამართლის მეცნიერებისთვის, ვინაიდან საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების შემთხვევაში, დადგება საკითხი ასევე ქართული სისხლის სამართლის ევროპეიზაციის შესახებ.

ჩვენი მკითხველისათვის, ასევე, საინტერესო იქნება ირაკლი დვალიძის სტატია, რომელშიც ავტორი განიხილავს საქართველოს კანონმდებლობაში არსებულ ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივ მექანიზმებს. ვინაიდან ტერორიზმთან ბრძოლა საერთაშორისო თანამეგობრობის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, ავტორი აანალიზებს საქართველოს კანონმდებლობაში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით არსებულ სამართლებრივ რეგულაციებს და ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობას.

წინამდებარე გამოცემაში, რუბრიკაში – „წიგნის რეცენზიები“, გამოქვეყნებულია თემურ ცქიტიშვილის საინტერესო რეცენზია, ბაჩანა ჯიშკარიანის წიგნთან დაკავშირებით – სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, დანაშაულის ადამიანის წინააღმდეგ.

ჟურნალის გამოცემის ბოლო რუბრიკა ეთმობა ანნეკე პეტცშეს სტატიას, რომელშიც ავტორი წარმოადგენს საქართველოში ჩატარებული კონფერენციის ანგარიშს, ქართული ეკონომიკური სისხლის სამართლის ევროპეიზაციის შესახებ.

ჟურნალში წარმოდგენილი სტატიები კვლავ ხელს უწყობს ქართულ-გერმანული ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას სისხლის სამართლის სფეროში, განსაკუთრებით კი მეცნიერულ აზრთა გაცვლა-გამოცვლას. ამით ხდება ასევე ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებისა და საბოლოოდ ქართული სისხლის სამართლის ევროპეიზაციის პროცესის ხელშეწყობა.

და ბოლოს, გვსურს გულითადი მადლობა გადავუხადოთ ყველა იმ პირს, ვინც წვლილი შეიტანა ამ გამოცემის გამოქვეყნებაში.

ამ ნომრის სტატიების ავტორებთან და სარედაქციო ჯგუფთან ერთად, განსაკუთრებით მთარგმნელობით საქმიანობაში ჩართულ სამუშაო ჯგუფის წევრებთან და ჟურნალის მთავარ რედაქტორთან ერთად, განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი („IRZ“), რომელიც პროექტის ფინანსურ მხარდაჭერას კვლავ ახორციელებს. აღსანიშნავია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მხარდაჭერაც.

კვლავ მადლობელი ვიქნებით თქვენი შემოთავაზებებისათვის.

ჟურნალის გამომცემლები

* წინასიტყვაობა ქართულად თარგმნა „DGStZ“-ის მთავარმა რედაქტორმა, ასისტენტმა ანრი ოხანაშვილმა (თსუ).